დამტკიცებულია

შპს „მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის“

დირექტორის 2026 წლის 2 მარტის N 02/25 ბრძანებით

შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

კომპონენტების დისტანციურად

განხორციელების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ეს წესი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომ– პროგრამა) კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესს – პირობებს და მისი ეფექტიანობისათვის საჭირო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.
1.2. წესი განსაზღვრავს აკადემიაში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მისი ადმინისტრირებას.
1.3. დისტანციური სწავლება გულისხმობს სრულად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, მის დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.
1.4. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო ასინქრონული კომუნიკაცია – ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება. პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს დისტანციური სწავლების სრულად ასინქრონული ფორმით. შესაძლებელია ჰიბრიდული მიდგომა, რაც გულისხმობს სინქრონული, ასინქრონული და კონტაქტური (აუდიტორიაში) სწავლების კომბინირებულად გამოყენებას.
1.5. დაუშვებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება დისტანციური ფორმით.
1.6. სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, აკადემია იყენებს ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც შეძენილია შესაბამისი წესების დაცვით.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტით/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით/დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განისაზღვრება პროგრამის ის კომპონენტები, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია.
2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის კონკრეტული კომპონენტების დისტანციური სწავლების რეჟიმში ან სასწავლო პროცესის მთლიანად დისტანციურ რეჟიმში განხორციელებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
2.3. დისტანციური სწავლების შემთხვევაში ერთი ლექციის ხანგრძლივობაა 50 საკონტაქტო წუთი.
2.4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში, პროცესის აღდგენამდე აკადემია უზრუნველყოფს თავის სივრცეში სტუდენტის დისტანციური სწავლების ხელშეწყობას.
2.5. აკადემია ვალდებულია დისტანციური სწავლებისას დაიცვას თითოეული სტუდენტის/მსმენელის პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.
2.6. აკადემიაში დაგეგმილი ექსტრაკურიკულური აქტივობები (სასერტიფიკატო კურსები, შეხვედრები, კონსულტაციები, ტრენინგები და სხვა) შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციური პლატფორმების

გამოყენებით.
2.7. დისტანციური სწავლების განხორციელების მიზნით გამოიყენება ელექტრონული საშუალებები ელექტრონული პლატფორმა, ასევე შესაძლებელია სხვა ელექტრონული პლატფორმის გამოყენება, დირექტორთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.
2.8. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აკადემია ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა/მსმენელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით შემუშავებული ინსტრუქციებით უზრუნველყოფას.
2.9. აკადემიის სასწავლო პროცესზე პასუხისგებელი პირი სისტემატურად აწარმოებს სტუდენტთა/მსმენელთა დისტანციურ ლექციებზე დასწრების აღრიცხვას.
2.10. აკადემიის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაადგინოს სტუდენტის/მსმენელის მიერ დისტანციური ლექციის ხშირი გაცდენის მიზეზები და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გამოწვეულია ტექნიკური მხარდაჭერის არქონით, ინფორმაცია უნდა მიაწოდოს აკადემიის დირექტორს და პრობლემის მოგვარებამდე დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩასართავად.
2.11. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული გრაფიკის შესაბამისად ადეკვატური გარემოდან.
2.12. სტუდენტი/მსმენელი ონლაინ სივრცეში შემოსვლით ადასტურებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას.
2.13. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია მასწავლებლის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ჩართოს ან/და გამორთოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა. პლატფორმაზე შესვლისას იდენტიფიცირებისთვის უნდა ფიქსირდებოდეს მისი სახელი და გვარი.
2.14. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ონლაინ გამოკითხვებში და დააფიქსიროს მოსაზრება/რეკომენდაციები.
2.15. პროფესიული განათლების მასწავლებელი დისტანციურ სწავლებას ახორციელებს შეთანხმებული სასწავლო განრიგის დაცვით, ასინქრონული, სინქრონული ან შერეული მეთოდით.
2.16. მასწავლებელი ვალდებულია აკადემიის მიერ შერჩეულ პლატფორმაში დარეგისტრირდეს და უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ჩართვის ლინკის მიწოდება დადგენილი ცხრილის მიხედვით.
2.17. მასწავლებელი ვალდებულია ჩართვა განახორციელოს ადეკვატური გარემოდან.
2.18. მასწავლებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს/მსმენელს საჭიროების შემთხვევაში ვიდეო და აუდიო მოწყობილობის ჩართვა.
2.19. მასწავლებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ონლაინ გამოკითხვებში.
2.20. მასწავლებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს საკონტაქტო საათების ჩატარების ვიდეოჩანაწერი და მიაწოდოს სასწავლო პროცესის თანამშრომლებს მოთხოვნიდან სამი სამუშაო დღის ვადაში. ჩატარებული საკონტაქტო საათის ვიდეოჩანაწერი ინახება 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
2.21. მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგში ჩართულ პირებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

2.22. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და მასწავლებელთა გამოკითხვებს და გასცემს რეკომენდაციებს.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება დისტანციური/ელექტრონული ფორმით

3.1. მოდული, რომლის სწავლის შედეგების დისტანციური სწავლების მეთოდით მიღწევა შეუძლებელია, ხორციელდება აკადემიაში დასწრებით.
3.2. მოდული, რომლის სწავლის შედეგები დისტანციური სწავლების მეთოდით შესაძლებელია მიღწეულ იქნას, შეფასება შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად ან კონტაქტური ფორმით.
3.3. დისტანციური შეფასების ალტერნატიული მეთოდები უნდა იძლეოდეს იგივე სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობას, რაც ტრადიციული სწავლებისას.
3.4. ზეპირი და წერილობითი გამოცდების ჩატარება შესაძლებელია ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.
3.5. დისტანციური გამოცდისას სტუდენტმა უნდა ჩართოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დაიშვება გამოცდაზე.
3.6. დისტანციური შეფასების შედეგების გასაჩივრება ხორციელდება აკადემიაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებული წესის შესაბამისად.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფა

4.1. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს კმაყოფილების კვლევის ანალიზს, რომლის შედეგები განიხილება სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან
4.2. საჭიროების შემთხვევაში ანალიზის შედეგების დაზუსტება შეიძლება განხორციელდეს მასწავლებლებთან და სტუდენტებთან/მსმენელებთან შეხვედრებით.
4.3. ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.
4.4. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგს, მათ შორის შემთხვევითი ჩართვებითა და სასწავლო მასალის ანალიზით.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დაცვა

5.1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის/პერსონალის პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს დისტანციური სწავლების პროცესის უწყვეტად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით.
5.2. ონლაინ ლექცია-სემინარები და სხვა მასალა წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და მათი გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ წინასწარი თანხმობით.
5.3. დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ნებისმიერი ვიდეოლექცია და ელექტრონული სასწავლო მასალა ეკუთვნის აკადემიას და მასწავლებელს. ჩანაწერის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ

შიდა მოხმარებისათვის.
5.4. ვიდეოჩანაწერი ინახება დადგენილი ვადით, რის შემდეგაც განადგურებულია ან წაიშლება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 6. ეტიკეტის ნორმები

6.1. ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი ნორმები:
6.1.1. შეარჩიოს ონლაინ ჩართვისთვის ადეკვატური გარემო, მოულოდნელი ხმაურის შემთხვევაში გამორთოს მიკროფონი.
6.1.2. ლექციის დაწყებამდე 5–10 წუთით ადრე შეამოწმოს ტექნიკური საშუალებები.
6.1.3. არ დააგვიანოს ლექციაზე შესვლა.
6.1.4. დაიცვას ეთიკისა და კომუნიკაციის წესები.
6.1.5. უზრუნველყოს, რომ კამერაში არ გამოჩნდეს არასასურველი გამოსახულება.
6.1.6. დაიცვას დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, რეგლამენტი, შეკითხვების დასმა და ა.შ.).
6.1.7. პატივი სცეს სხვის აზრს.
6.1.8. არ გააზიაროს პერსონალური ინფორმაცია.
6.1.9. საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს განმარტება.
6.1.10. განათავსოს მხოლოდ სწავლისთვის განკუთვნილი ინფორმაცია.
6.1.11. არ გამოაქვეყნოს საჯარო/დახურულ სივრცეში სხვისი პირადი ინფორმაცია, ფოტო ან ვიდეო დაუკითხავად.
6.1. 12.წესების დარღვევა ჩაითვლება ეთიკის კოდექსის დარღვევად და აკადემია უფლებამოსილია იმოქმედოს შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. აღნიშნულ წესში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება დირექტორის ბრძანებით.